საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი გზობავა

„1“ აგვისტო, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 01 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** კანდიდატურის წარდგენას.

ჩემს მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის - **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **ნიკოლოზ მარსაგიშვილი** ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **93 (93%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 19 ივლისის შეფასება)*.

ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის წარდგენაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა ასევე მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1302 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **93%**-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი - **ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარს ვუჭერ **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა